წლიური ანგარიში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

2022

www.gasw.org

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია/GASW

მოგესალმებით, ძვირფასო წევრებო!

GASW
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
GEORGIAN ASSOCIATION OF SOCIAL WORKERS

კიდევ ერთი აქტიური წელი გავლიეთ!

2022 წელი არც ისე მარტივი აღმოჩნდა მსოფლიოსთვის. სამწუხაროდ, 2022 წლიდან დღემდე უკრაინაში ომი მიმდინარეობს, რომელმაც უკვე შეიწირა ასობით ადამიანი. კიდევ ერთხელ სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინელ მოძმე ხალხს!

ასოციაციამ 2022 წელს არაერთი აქტივობა განახორციელა, როგორც მოგეხსენებათ, გასული წელი უწყვეტი განათლების წლად იყო გამოცხადებული ასოციაციის მიერ და შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში წევრებს არაერთ საგანმანათლებლო აქტივობას ვთავაზობდით: ტრენინგებს, ვებინარებს, სასწავლო ვიზიტებს, შეხვედრებს უცხოელ კოლეგებთან და სხვა.

ამას გარდა, 2022 წელს ასოციაციამ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი უკრაინაში მიმდინარე ომით დაზარალებული ადამიანების დასახმარებლად. კერძოდ, კოორდინირება გაუწია მომსახურებებს და შექმნა იმ მომსახურებების ბაზა, რომლებიც უკრაინელებს სთავაზობდა მხარდაჭერას, ჩაატარა საგანმანათლებლო ვებინარები თემებზე, რომლებიც ეხებოდა ტრავმას და მასთან გამკლავების მექანიზმებს, ჩატარდა ტრენინგი ამავე თემაზე იმ სოციალური მუშაკებისთვის, ვინც უკრაინელებთან იმუშავებდნენ მოგვიანებით. ამას გარდა, უკრაინაში გაიგზავნა ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი, რომლის მობილიზებაშიც ასოციაციის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

რაც შეეხება წევრებთან სხვა აქტივობებს, დავგეგმეთ სახალისო ექსკურსიაც,

პირველად პანდემიის შემდეგ.

ამას გარდა, განვახორციელეთ საადვოკატო საქმიანობა, რომელიც პროფესიაში დადებით ცვლილებებს შეუწყობს ხელს.

2022 საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ განხორციელდა წევრთა ბაზის განახლება, ასევე წევრებთან მუდმივად მიმდინარეობდა კომუნიკაცია მათ პროფესიულ საჭიროებებზე, რომელთა საპასუხოდაც საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია მუდმივად გეგმავდა და ახორციელებდა გარკვეულ ღონისძიებებს, როგორებიცაა: ტრენინგები, ვებინარები, შეხვედრები, თვითზრუნვის პლატფორმა, სფეროში მიმდინარე სიახლეების გაზიარება და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ განახლდა ასოციაციის ბიბლიოთეკა და მომზადდა ონლაინ ბიბილიოთეკა და ნაბეჭდი სახით წიგნების ბიბილიოთეკის რეესტრი, რომელზე მისაწვდომობაც აქვთ ასოციაციის წევრებს.

ასევე, ვიმუშავეთ მეცნიერული და კვლევების მიმართულებითაც, კერძოდ ჩავატარეთ “კვლევა სოციალური მუშაობის სამუშაო ძალის შესახებ”, რომელიც სხვადასხვა სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობას იკვლევდა საქართველოში.

ჩავატარეთ სოციალური მუშაკების ემოციური შრომის შესახებ კვლევაც, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდა სამეცნიერო სტატია “სოციალურ მომსახურებებში გაუმჯობესებული პროფესიული პრაქტიკა ემოციური შრომის სტრატეგიებით”, რომელიც გამოქვეყნდა მაღალ იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალ Frontiers-ში. ასევე, ასოციაციის მიერ მომზადდა სტატია უკრაინის ომის საპასუხოდ სოციალურ მუშაკთა ასოციაციის როლზეც, რომელიც გამოქვეყნდა სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ასოციაციის პროფესიონალურ ჟურნალში “სოციალური დიალოგი”. გარდა ამისა, ჩატარდა ორი სამეცნიერო პროფესიული კონფერენცია. მათ შორის ერთი კონფერენცია გახლდათ სტუდენტური საერთაშორისო კონფერნეცია, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ჩვენს წევრებს 2022 წელს აქტიურობისთვის და ყველას წარმატებული 2023 წელი ვუსურვოთ! რაც შეეხება 2023 წელს, მიმდინარე წელი განისაზღვრა სოციალური მუშაობის პოპულარიზაციის წლად.

ცხადია, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია კვლავ გააგრძელებს წევრებისთვის მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებების დაგეგმვას. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ პროფესიის პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანი იქნება თითოეული წევრის აქტიურობა და ინიციატივები.

(+995) 32 239 00 71
gasw@gasw.org
ყაზბეგის გამზ. 44, მე-2 სართ., თბილისი 0177, საქართველო
www.gasw.org

სსმა–ში გაწევრიანებისთვის მოგვწერეთ: gaswmembers@gmail.com

ასოციაცია 18 წლისაა!

ზუსტად 18 წლის წინ, 13 ოქტომბერს ქ. ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის და ქ. სენტ-ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტის ექვსმა კურსდამთავრებულმა საქართველოში დააფუძნა სოციალურ მუშაკთა პირველი ეროვნული ასოციაცია.

მას შემდეგ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია აქტიურად იღწვის სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარებაზე საქართველოში. ასოციაციის თაოსნობით შემუშავდა და დაინერგა პირველი აკადემიური პროგრამები, განვითარდა სოციალური მომსახურების სისტემა ბავშვთა ზრუნვის სფეროში, მართლმსაჯულების სფეროში, ჯანდაცვის სფეროში და ა.შ. მიღებულია კანონი სოციალური მუშაობის შესახებ, სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსი, მომსახურების პროფესიული სტანდარტები და სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზა და დამხმარე დოკუმენტები. დაიწერა სამეცნიერო ლიტერატურა და შეიქმნა საგანმანათლებლო რესურები, რომლებიც მისაწვდომია ასოციაციის წევრებისთვის.

ასოციაცია პირნათლად ასრულებს თავის მიზნებს და ახდენს ეფექტიანი მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის ადვოკატობას ქვეყნის მასშტაბით. ასოციაცია თავისი პროფესიონალური კადრებით ექსპერტიზას უწევს სოციალური მომსახურებების განვითარების ხელშეწყობას საქართველოში და ასევე, თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან და უზიარებს თავის გამოცდილებას.

ასოციაციის მთავარი მიმართულებაა ახალგაზრდა სოციალური მუშაკების გაძლიერება და მათი პროფესიული მხარდაჭერა. ამ მიზნით ასოციაციამ ახალი პლატფორმების საშუალებით გააქტიურა სტუდენტები და კარიერის დამწყებ საფეხურზე მყოფი ახალგაზრდები.

ასოციაცია ჩართულია ადგილობრივ და საერთაშორისო სოციალურ მუშაკთა პროფესიულ ქსელში და იღწვის ადამიანის უფლებების დასაცავად ეროვნულ და მსოფლიო დონეზე.

გილოცავთ, ასოციაციის წევრებო, ამ მნიშვნელოვან დღეს და გისურვებთ პროფესიულ წინსვლას და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას!

GASW

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

GEORGIAN ASSOCIATION OF SOCIAL WORKERS

პირველი საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია

სოციალური მუშაობა - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პროფესია

დეკემბერი, 2022

2022 წლის 9 და 10 დეკემბერს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად გამართა პირველი საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია „სოციალური მუშაობა - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პროფესია“. ამასთან, კონფერენციის თანაორგანიზატორი იყო ევოკავშირის პროექტი “Strengthening Social Protection in Georgia”, რომელსაც ახორციელებს Expertise France და ჩეხეთის განვითარების სააგენტო.

კონფერენციის მიზანი იყო ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული გლობალური პროფესიის - სოციალური მუშაობის - შესახებ ცნობიერების ამაღლება.

კონფერენცია ეძღვნებოდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის 18 წლის იუბილესა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს, რომელიც აღნიშნება ყოველი წლის 9 დეკემბერს, როდესაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წელს მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

კონფერენცია ჰიბრიდულ რეჟიმში მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები როგორც საქართველოდან, ასევე ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან: უკრაინიდან, ჩეხეთიდან, ლიეტუვადან, ბანგლადეშიდან, ესპანეთიდან.



კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის ახალგაზრდული პროექტის წარმომადგენლებმა.

კონფერნციის მონაწილეებს გადაეცათ პირველ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებმა წარმოადგინეს სოციალური მუშაობის პროფესიისთვის აქტუალური და საინტერესო თემები.

კერძოდ, სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი თემები მოიცავდა:

- სტუდენტების მიერ განხორციელებულ სოციალურ პროექტებს
- ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს
- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებს სოციალურ მუშაობაში

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ერთობლივი პირველი საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციის შესახებ ინფორმაცია აქტიურად გავრცელდა საერთაშორისო დონეზეც, კერძოდ, კონფერენციის შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციამ და ევროპის სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციამ.

შეზღუდული შესაძლებლობის ბიოფსიქოსოციალური შეფასება და სტატუსის განსაზღვრის სისტემა

2022 წელს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ დაასრულა პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის ბიოფსიქოსოციალური შეფასება და სტატუსის განსაზღვრის სისტემა“, რომელიც 2021 წლიდან მიმდინარეობდა. პროექტს ახორციელებდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

პროექტი ხორციელდებოდა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის დაფინანსებით პროექტის “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალური დაცვის სისტემის ტრანსფორმაცია” ფარგლებში.

პროექტის მიზნები იყო:

- თბილისის მასშტაბით შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის განსაზღვრის სისტემის ბიოფსიქოსოციალური მოდელის მიზნობრივი პილოტირება;
- შეფასებისა და სტატუსის განსაზღვრის სისტემის ბიოფსიქოსოციალური მოდელის ზედამხედველობისა და მონიტორინგის ფუნქციების ინსტიტუციონალიზაცია;
- ახალი სპეციალისტების გადამზადების მდგრადი მექანიზმების დანერგვა;
- ბიოფსიქოსოციალური მოდელის საფუძველზე მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემების ჩამოყალიბება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის მონაწილეობა და ჩართვა ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასა და გავრცელებაში.

ბიოფსიქოსოციალური მოდელის პილოტის ფარგლებში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ გადამზადებული სპეციალისტები შეფასებას ახორციელებდნენ კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებთან: სმენის სირთულეების მქონე პირებთან, მხედველობის სირთულეების მქონე პირებთან, ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირებთან, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირებთან, სხვადასხვა დაავადების მქონე ბავშვებთან და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ივნისიდან 2022 წლის აპრილის ჩათვლით პილოტში მონაწილეობა მიიღო 408 პირმა.

გარდა კლინიკებში ბიოფსიქოსოციალური მოდელის პილოტირებისა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მხრიდან მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ბიოფსიქოსოციალური მოდელის ინსტიტუციონალიზაციისთვის, რაც თავის მხრივ გულისხმობდა:

- საკანონმდებლო ანალიზის და საკანონმდებლო ჩარჩოს მომზადებას;
- სპეციალისტთა მომზადების სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავებას და დანერგვის ხელშეწყობას;
- მონიტორინგისა და პროფესიული ზედამხედველობის კომპონენტის ჩარჩოს მომზადებას და დანერგვის ხელშეწყობას;
- თემთან აქტიურ თანამშრომლობას და თითოეულ კომპონენტში მათ ჩართულობას და მათი მოსაზრებების გათვალისწინებას;

- სპეციალისტთა მომზადების სასერტიფიკატო პროგრამის და უმაღლესი განათლების შესახებ კანონის ანალიზის დოკუმენტების შექმნას.

პილოტის მიმდინარეობისას საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ მიღწეულ იქნა შემდეგი შედეგები:

- დაიხვეწა და შეიცვალა შეფასების ისნტრუმენტები და გაიდლაინები;
- შეიქმნა ბავშვის მონაწილეობის კონცეფცია და გაიდლაინი;
- გაანალიზდა სტატუსის მინიჭების არსებული საკანონმდებლო დოკუმენტები და შეიქმნა საკანონმდებლო ჩარჩო ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე გადასვლისთვის ჩატარდა 45 საინფორმაციო შეხვედრა თემთან;
- პროექტის ფარგლებში დაქირავებული სპეციალისტებთან მუდმივად მიმდინარეობდა პროფესიული უნარების გაძლიერების მხარდაჭერა.

პროექტის დასასრულს განხორციელდა მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, ანალიზი, პროექტის შედეგების შეფასება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის შემუშავდა ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვისთვის სარეკომენდაციო დოკუმენტები.

გარდა ამისა, აღსანიშნავია საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის როლი ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია აქტიურად მუშაობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შექმნილი კომიტეტების ფარგლებში და ორგანიზაციის დირექტორი ქეთევან გიგინეიშვილი არის ბიოფსიქოსოციალურ მოდელთან დაკავშირებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის აქტიური ჩართულობით შეიქმნა ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვის სამოქმედო გეგმა, რომელიც უკვე დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

მომსახურებების გზამკვლევი ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ 2022 წლის სექტემბერში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულებისათვის შეიმუშავა გზამკვლევი პროექტის „COVID-19-ზე მდგრადი რეაგირება სომხეთსა და საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება Hilfswerk International-ის მიერ იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“-სთან ერთად, რომელიც ხორციელდება კონსორციუმში ავსტრიის წითელი ჯვარსა და კარიტას ავსტრიასთან და ასევე მათ ადგილობრივ პარტნიორებთან - საქართველოს წითელ ჯვართან, სომხეთის წითელი ჯვრის საზოგადოებასა და სომხეთის კარიტასთან ერთად.

ხანდაზმულთა გზამკვლევის მიზანია, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულთათვის შექმნას მომსახურებების რუკა, რათა ხელი შეუწყოს მათ და მათზე მზრუნველ პირებს, სპეციალისტებს, ერთ სივრცეში თავმოყრილად იხილონ ხანდაზმულთა მხარდამჭერი მომსახურებები და მიიღონ ინფორმაცია ხანდაზმულთა უფლებების შესახებ.

აგრეთვე, დოკუმენტის მიზანია თავად ხანდაზმულების ინფორმირებულობის გაზრდა, რათა შეძლონ გამოიყენონ ის რესურსები რაც მათთვის არსებობს მუნიციპალიტეტში და ამასთან, გაუზიარონ ინფორმაცია სხვა ხანდაზმულებსაც.

დოკუმენტის სამიზნე ჯგუფია ხანდაზმულები, მათი ოჯახის წევრები, მზრუნველები, მომვლელები, ხანდაზმულთა საკითხებზე მომუშავე პირები და უშუალოდ მათთან მომუშავე სპეციალისტები.

გზამკვლევში მოკლედაა აღწერილი სხვადასხვა მხარდამჭერი სამთავრობო და არასამთავრობო მომსახურებების შინაარსი და მომსახურებებში ჩართვის კრიტერიუმები, მაგალითად, ინფორმაცია ჯანდაცვის და სოციალური მომსახურებების, კულტურული და გამაჯანსაღებელი მომსახურებების შესახებ, ამას გარდა, სამედიცინო დაწესებულებების, კოვიდ 19-ის პანდემიის პრევენციული ღონისძიებების შესახებ. აგრეთვე, დოკუ-

მენტში მოკლედ წარმოდგენილია ინფორმაცია ხანდაზმულთა უფლებების და უფლებადამცველი ორგანიზაციების შესახებ და ა.შ.

დოკუმენტი მიზნად არ ისახავს მომსახურების ყველა დეტალის დატანას და აღწერას, დოკუმენტის მიზნებიდან და როლიდან გამომდინარე. დეტალებზე ინფორმაციისთვის ხანდაზმულებს სოციალური მუშაკები, მერის უფლებამოსილი წარმომადგენლები, ექიმები და სხვა სპეციალისტები დაეხმარებიან შერჩეული მომსახურების შესაბამისად (ან დაეხმარებიან შერჩევაში). ამასთან, აღნიშნული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ხანდაზმულთა უფლებების ადვოკატობის მიმართულებით.

გარდა ზემოთ განხილულისა, აღნიშნული დოკუმენტი გათვლილია პროექტში ჩართული ხანდაზმულებისთვის, ხანდაზმულთა საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისთვის, მოხალისეებისთვის და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის.

მხარდაჭერის სახლი

მომსახურებები დღეგრძელთა ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ახოციელებს პროექტს „მხარდაჭერის სახლი - მომსახურებები დღეგრძელთა ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია ჰერცოგოვინაში“ Hilfswerk International-ის მხარდაჭერით პარტნიორებთან Hilfswerk International-ის სარაევოს ოფისი და „HAJDE დახმარებისა და განვითარების ასოციაცია“ ერთად ბოსნია-ჰერცოგოვინაში, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, „საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი“ ერთად.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ხანდაზმულებისთვის ჯანსაღი დაბერებისა და შინმოვლის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ოთხ მუნიციპალიტეტში (ორი საქართველოში და ორი ბოსნია-ჰერცოგოვინაში) და წვლილი შეიტანოს ისეთი ინკლუზიური სოციალური პოლიტიკის ჩარჩოს შექმნაში, რომელიც გააუმჯობესებს ხანდაზმულთა მდგომარეობას საზოგადოებაში და უზრუნველყოფს მათი უფლებების რეალიზებას.

მობილური გუნდის მომსახურებას ამ ეტაპისთვის 35-მდე ბენეფიციარი ჰყავს. მობილური გუნდის მომსახურების მიწოდება 2023 წელსაც გაგრძელდება.

2022 წელს ჯანსაღი დაბერების ცენტრები გაიხსნა დმანისსა და გორში. ამ მომენტისთვის თითოეულ რეგიონში ცენტრებს 40-მდე აქტიური წევრი ჰყავთ. ხანდაზმულები დღის გარკვეულ მონაკვეთს ცენტრში ატარებენ და დაკავებულნი არიან სხვადასხვა მათთვის საინტერესო აქტივობით: ჭადრაკი, ხელოვნება, მუსიკა, ხელნაკეთი ნივთების დამზადება, ადგილობრივი სკოლებისა და ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სასკოლო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება (მაგ: საახალწლო, საგაზაფხულო კონცერტები, თოჯინების თეატრი პატარებისთვის და ა.შ.), ფსიქოლოგთან საინტერესო საკითხების განხილვები/დისკუსიები, ინფორმაციული შეხვედრები სოციალურ მუშაკებთან, უფლებების შესახებ შეხვედრები. ჯანსაღი დაბერების ცენტრები ინოვაციაა საქართველოს რეგიონებში და იმედს ვიტოვებთ, სულ მალე მათ ბევრ სხვა რეგიონშიც ვიხილავთ და უფრო მრავალფეროვნად წარმოდგენილი აქტივობებით.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ 2022 წელს ჩაატარა ტრენინგების სერია, რომელთა მიზანიც იყო მხარდაჭერის სახლის ყველა მომსახურების თანამშრომლისთვის ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საკითხზე.

კომუნიკაციის უნარები

ხანდაზმულებთან ეფექტური კომუნიკაცია, ინტერვიუს ტექნიკები

2-დღიანი ტრენინგი მოიცავდა მნიშვნელოვან საკითხებს ხანდაზმულებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების გზებზე, ხანდაზმულებთან მომუშავე პროფესიონალებისთვის რაპორტის დამყარების უნარის გამომუშავებაზე, ხანდაზმულებთან პირველადი ინტერვიუსას მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებაზე. ტრენინგი ჩაატარა სოციალურმა მუშაკმა ქეთევან გიგინეიშვილმა.

დამხმარე საშუალებების შესახებ ინფორმაცია

2-დღიანი ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: დამხმარე საშუალებები ხანდაზმულთათვის, რომლებსაც გადაადგილებაში ან ყოველდღიურ ფუნქციონირებაში ხელი ეშლებათ ჯანმრთელობის მდგომარეობის და არაადაპტირებული გარემოს გამო, დაცემის პრევენციის გზები, ხანდაზმულთა და მათი ოჯახის წევრების განათლება დამხმარე საშუალებების მიღების, მორგების პროცედურების შესახებ და სხვა. ტრენინგი ჩაატარეს გამოცდილმა ოკუპაციურმა თერაპევტებმა: რუსუდან ლორთქიფანიძემ და თამთა ჩაგალიძემ.

ძალადობა
ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა

1-დღიანი ტრენინგი მოიცავდა ძალადობის განმარტებას, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის კანონის მიმოხილვას, ძალადობის რეფერირების პროცედურებს, ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციას, ძალადობის იდენტიფიცირების გზებს და სხვა. ტრენინგი ჩაატარა სოციალურმა მუშაკმა ქეთევან გიგინეიშვილმა.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ჩართულობა პროექტში, ასევე, მოიაზრებს ჯანსაღი დაბერების ცენტრების მონიტორინგს. ასოციაციამ ამ მიზნით 2022 წელს შეიმუშავა მონიტორინგის ინსტრუმენტები, მონიტორინგის აღსრულების გზამკვლევი და ინდიკატორები. 2023 წელს კი ასოციაცია შემუშავებული დოკუმენტების შესაბამისად დაიწყებს მონიტორინგის განხორციელებას, რათა უზრუნველყოს ცენტრებში შესაბამისი ხარისხის მომსახურების განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის და UNDP-ის თანამშრომლობა

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია აგრძელებს აქტიურად თანამშრომლობას სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რათა ხელი შეეწყოს საქართველოში ხარისხიანი და ეფექტური სოციალური მუშაობის მომსახურების განვითარებას. გვინდა, მადლობა გადავუხადოთ გაეროს განვითარების პროგრამას ასოციაციასთან და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან თანამშრომლობისთვის, რამაც შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ეთნიკურად არადომინანტ ჯგუფებთან და ლგბტქ თემთან ეფექტური სოციალური მუშაობის მომსახურების მიწოდების მიმართულებით მუშაობის ხელშეწყობა. თანამშრომლობის ფარგლებში სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკებისთვის ექსპერტებმა ნელი აკობიამ და გიორგი წოწკოლაურმა შეიმუშავეს შესაბამისი გზამკვლევები. გზამკვლევის საფუძველზე კი მოგვიანებით სოციალური მუშაკებისთვის ჩატარდა 2-დღიანი ტრენინგები.

ამას გარდა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან თანამშრომლობით და კვლავ გაეროს ფონდის მხარდაჭერით იმუშავა მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირებთან მომუშავე სოციალური მუშაკების შეფასების ფორმებისა და მონიტორინგის ფორმის გაუმჯობესებაზე. ამისთვის შემუშავდა შესაბამისი გზამკვლევი, ჩატარდა სააგენტოს სოციალური მუშაკებისთვის ტრენინგები და ზედამხედველობის შეხვედრები. პროცესს უძღვებოდა ექსპერტი მაგული შაღაშვილი და ქეთევან გიგინეიშვილი. მადლობას ვუხდით გაეროს განვითარების პროგრამას მხარდაჭერისა და ეფექტური თანამშრომლობისთვის.

ჰოლანდიელი სოციალური მუშაკების ვიზიტი საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციაში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას 2022 წლის 8 ნოემბერს ესტუმრნენ ჰოლანდიელი სოციალური მუშაობის პროგრამის პროფესორები, Tim Tiemissen და Sanne van den Heuvel - ისინი წარმოადგენდნენ HAN_University of Applied Sciences უნივერსიტეტს. შეხვედრისას განხილულ იქნა საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარება და თანამშრომლობის გზები.

მონღოლეთის დელეგაციის სტუმრობა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციაში

2022 წლის 28 ნოემბერს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ესტუმრა დელეგაცია მონღოლეთიდან. დელეგაციაში შედიოდნენ შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და საერთაშორისო კონსულტანტები. ამ სასწავლო ვიზიტის მიზანი იყო, გაცნობოდნენ საქართველოში (ა) სოციალური მუშაობის სისტემის განვითარების (სოციალური მუშაობის კანონი, რეგულირება, პროფესიული ზედამხედველობის სისტემის განვითარება, უწყვეტი განათლება), (ბ) თემზე დაფუძნებული მომსახურებების მონიტორინგისა და ინსპექტირების საკითხებს. მონღოლეთის დელეგაციას საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დირექტორმა ქეთევან გიგინეიშვილმა და ორგანიზაციის დამფუძნებელმა სალომე ნამიჭეიშვილმა გააცნეს საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარების ისტორია და სამომავლო ნაბიჯები.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის და მალდივის დელეგაციის შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდთან

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თანადამფუძნებელი ნათია ფარცხალაძე და დირექტორი ქეთევან გიგინეიშვილი 8 ივნისს გაეროს ბავშვთა ფონდს სტუმრობდნენ და შეხვდნენ ფონდის სტუმრებს - მრავალსექტორულ დელეგაციას მალდივებიდან.

მათი ინტერესის სფეროები გახლდათ:

- » სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარება საქართველოში
- » ბავშვთა უფლებების კოდექსი, სიახლეები, რომლებიც მოაქვს კოდექსს
- » დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმა და მიმდინარე პროცესები და სხვა საკითხები.

ასოციაცია მზაობას გამოთქვამს, მომავალშიც განაგრძოს გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას სტუმრად თურქი და გერმანელი სოციალური მუშაკები ეწვივნენ

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას 29 ივლისს გამოცდილების გაზიარების და საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით თურქი და გერმანელი სოციალური მუშაკები ესტუმრნენ. სოციალურ მუშაკებს შეხვდნენ ასოციაციის თავმჯდომარე შორენა საძაგლიშვილი და დირექტორი ქეთევან გიგინეიშვილი. სოციალური მუშაკები ასევე ასოციაციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მოწვევით დაესწრნენ შეხვედრას, სადაც მიიღეს ინფორმაცია სოციალური მუშაკების სასწავლო ტრენინგების შესახებ, რომელთა ჩატარებაც გაეროს ბავშვთა ფონდისა და კოლუმბიის უნივერსიტეტის თანამშრომლობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

კოლუმბიის ტრენინგების შესახებ

2022 წლის 29 ივლისს გაიმართა გაეროს ბავშვთა ფონდისა და კოლუმბიის უნივერსიტეტის პროექტის „Building Social Service Workforce Competencies in Eastern Europe and Central Asia“ შემაჯამებელი შეხვედრა. პროექტის ფარგლებში შემუშავდა სატრენინგო კურსი "ინტერპერსონალური კომუნიკაცია და თემთან ურთიერთობა", რომელიც ქართულ უნივერსიტეტებს საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირებისათვის გადაეცათ. ასევე მასალები და ტრენინგების ჩატარების უფლება გადაეცათ პროექტში ჩართულ ორგანიზაციებს და მონაწილე პირებს, მათ შორის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას და მის თანამშრომლებს.

პროექტის და შემუშავებული სატრენინგო კურსის მიზანია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში სოციალური სამსახურის მუშაკების პრაქტიკის საბაზისო კომპეტენციების გაძლიერება. კურსი ითვალისწინებს მონაწილეთა ინტერპერსონალური კომუნიკაციის და თემთან მუშაობის უნარ-ჩვევების გაძლიერებას, ბავშვებთან, ოჯახებთან, ჯგუფებთან და თემთან სოციალური მუშაობის პრაქტიკის პროცესში. პრაქტიკაზე ორიენტირებული ეს კურსი საბაზისო უნარ-ჩვევებს განუვითარებს სოციალური მუშაობისა და დაკავშირებული სფეროების სტუდენტებს. შესაძლებელია, ასევე, მთლიანად კურსის, ან მისი ცალკეული მოდულების, გამოყენება უწყვეტი განათლებისათვის, სოციალური სამსახურის მუშაკების უნარ-ჩვევების გასაღრმავებლად.

პროექტის ფარგლებში ტრენინგებში ჩართული იყო 21 სოციალური მუშაკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, გაეროს

ბავშვთა ფონდიდან, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციიდან, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურიდან, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან და ინიციატივა სოციალური ცვლილებებიდან.

შეხვედრაზე მიმდინარეობდა მსჯელობა სოციალური მუშაკების გაძლერებისკენ მიმართულ შემდგომ ნაბიჯებზე, თუ რა ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული სფეროს გაძლიერებისთვის. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, ღასან ხალილმა, გაეროს ბავშვთა ფონდის რეგიონულმა მრჩეველმა ბავშვთა დაცვის საკითხებში, აარონ გრინბერგმა და კოლუმბიის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ტიმოთი ჰანტმა.

პროექტი განხორციელდა ევროკავშირის მხარდაჭერით.

სოციალური მუშაობის ძალის შესახებ კვლევა

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ, 2022 წლის თებერვალ-მაისში, საქართველოს მასშტაბით ჩაატარა კვლევა სოციალური მუშაობის სამუშაო ძალის შესახებ. კვლევის მიზანი იყო სოციალური მუშაკების განათლების, დასაქმების არეალის, დასაქმებულთა რაოდენობის, კვალიფიკაციის, სამუშაო პოზიციების, დაწინაურების გამოცდილებისა და სხვა გამოცდილებების შესახებ ინფორმაციის მოძიება. კვლევის ფარგლებში ინფორმაციის მოძიება მოხდა როგორც სამთავრობო და არასამთავრობო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.



კვლევაში არსებული მონაცემები ეყრდნობა სოციალურ მუშაკთა საგანმანათლებლო და დასაქმების ადგილებიდან წერილობით გამოთხოვილ ინფორმაციას და ამასთან, დამატებით სატელეფონო გამოკითხვას. აკადემიური დაწესებულებებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, წმინდა ანდრიას ქართულმა უნივერსიტეტმა. ასევე ოფიციალური ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან. საჯარო უწყებებიდან მონაცემების გამოთხოვა განხორციელდა სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან, სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრიდან, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროდან, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოდან, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და 69 მუნიციპალიტეტიდან, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების 5 მუნიციპალიტეტიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე კვლევა არ მოიცავს სსიპ სპეციალური პენიტენციური დაწესებულების მონაცემებს, რადგან მათი მხრიდან ვერ მოხდა მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება და მოწოდება. სამედიცინო დაწესებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოწოდებული იყო საქართველოს



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან. მონაცემთა გადამოწმება და დაზუსტება განახორციელა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ სატელეფონო გამოკითხვის მეშვეობით. სულ სატელეფონო გამოკითხვა განხორციელდა 240 სამედიცინო დაწესებულებაში. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა მთელი ქვეყნის მასშტაბით 183 ორგანიზაციიდან. საკვლევი საკითხების შესახებ ქვემოთ დეტალურადაა წარმოდგენილი მონაცემები როგორც აკადემიური სივრციდან, ასევე დასაქმების ადგილებიდან. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ გაეცნოთ კვლევას.

მობილური გუნდის თანამშრომლების უნარების გაძლიერება

2022 წლის 18-30 ივლისს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ჩატარდა ტრენინგები მობილური გუნდის თანამშრომლების უნარების გაძლიერების მიზნით. ტრენინგის მიზანი იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის მობილური გუნდის წევრების უნარების გაძლიერება. ტრენინგის მიმდინარეობისას ყურადღება გამახვილდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე საქართველოში და ამასთან მოხდა მობილური გუნდის წევრების ინფორმირება სოციალური მუშაობის ძირითადი ასპექტების შესახებ. ამასთან, ტრენინგი საშუალებას აძლევდა გუნდში ჩართულ სოციალურ მუშაკებს გაეაზრებინათ შემთხვევის მართვის პრინციპები და გაეანალიზებინათ მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის არსი და თავისებურებები.

ტრენინგ კურსი მოიცავდა შემდეგ თემებს:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა და სამართლებრივი ჩარჩო;
- სოციალური მუშაობის არსი და ეთიკური პრინციპები;
- შემთხვევის მართვის მეთოდი;
- მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა, წევრთა ფუნქციები;
- მულტიუწყებრივი მუშაობა და მისი თავისებურებები;
- პროფესიული გადაწვა;
- პრაქტიკის თვითრეფლექსია და სუპერვიზია;
- შეფასება და საჭიროებების განსაზღვრა.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციიდან აღნიშნულ ტრენინგს უძღვებოდნენ ია შეყრილაძე და ნინო ტაბიძე.

ტრენინგები ტარდებოდა ონლაინ, ZOOM პლატფორმის მეშვეობით და მიმდინარეობდა 7 დღის განმავლობაში (დღეში 4 საათი).

მობილური გუნდის თანამშრომლების უნარების გაძლიერების ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საშუალოდ 30 მონაწილემ.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია უკრაინის მხარდასაჭერად

უკრაინაში ომის დაწყების დღიდან საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა უკრაინის სათვისტომოსთან და უკრაინის საელჩოსთან.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ განახორციელა მრავალი ინიციატივა უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად არა მხოლოდ საქართველოში მყოფი უკრაინელებისთვის, არამედ უკრაინაში მყოფი ომით დაზარალებული ადამიანებისთვისაც. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ამ მიზნით შესაბამისი წერილიც გაავრცელა:

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია გამოხატავს ულრმეს მწუხარებას უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო! ომი ყველაზე საშინელი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე. 21-ე საუკუნეში, როდესაც ყველა შეთანხმებულია ადამიანის უფლებებზე, მშვიდობაზე, კეთილდღეობაზე, შუაგულ ევროპაში სასტიკად გაჩაღებული ომი რისკის ქვეშ აყენებს საკაცობრიო ღირებულებებს. ეს არის ქმედება, რომელსაც მოაქვს უდიდესი ფიზიკური და ფსიქიკური დანაკარგი ერისთვის და კაცობრიობისთვის!

სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარება ისტორიულ სათავეს სწორედ ომით დაზარალებულთა მხარდაჭერიდან იღებს. ჩვენთვის, სოციალური მუშაკებისთვის, სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლა პროფესიის ფუნდამენტია.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია მოუწოდებს რუსეთში მცხოვრებ სოციალურ მუშაკებს, რომ ხმა აიმაღლონ ამ უსამართლობის წინააღმდეგ უკრაინის მხარდასაჭერად და იბრძოლონ სამართლიანობისთვის!

სოციალური მუშაობის პროფესიის განუყოფელი ნაწილია სოციალური აქტივიზმი, სოლიდარობა და სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლა!

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია გამოხატავს მზაობას მხარდაჭერა აღმოუჩინოს საქართველოში მყოფ უკრაინელებს. სულ მალე შევქმნით და გაგიზიარებთ სპეციალურ ჯგუფს და თქვენთან ერთად დავგეგმავთ უკრაინელების მხარდამჭერ აქტივობებს სხვადასხვა მიმართულებით.

ძირს ომი!
თავისუფლება უკრაინას!

The Georgian Association of Social Workers, once again, expresses its deep sorrow over the current events in Ukraine! War is the most horrible crime against humanity. In the 21st century, when we all agree and strive to ensure human rights, peace, well being of persons and people throughout the world, the brutal war in central Europe puts all of the above at risk. It is an action that brings the greatest physical and mental loss to one nation and humanity.

Our profession - social work - has its historical origins in the support of war victims. For our social workers, the fight for social justice is the foundation of the profession.
The Georgian Association of Social Workers call on our colleagues in Russia to raise their voices against this injustice, to support Ukraine and to fight for justice!

Historically, social activism, solidarity and the fight for social justice have been an integral part of the social work profession! The Georgian Association of Social Workers expresses its readiness to support Ukrainians in Georgia. We will soon share with you a special group, where we will plan activities in several directions by joint efforts.

Down with the war!
Freedom to Ukraine!“

ამას გარდა, ასოციაციამ შექმნა **საინციატივო ჯგუფი "სოციალური მუშაკთა საერთაშორისო ქსელი უკრაინის მხარდასაჭერად"**. ჯგუფის მიზანი კრიზისულ პერიოდში მხარდაჭერა აღმოგვეჩინა უკრაინელი მოძმე ხალხისთვის. ისტორიულად ხომ სოციალური მუშაობის პროფესიის განუყოფელი ნაწილია სოციალური აქტივიზმი, სოლიდარობა და სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლა!

პირველ რიგში, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ კომუნიკაცია დაამყარა უკრაიანის საელჩოსთან და სათვისტომოსთან საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, ამას გარდა, აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან, ტურიზმის ეროვნულ სააგნეტოსთან, რომელიც იმ პერიოდისთვის გახლდათ პასუხისმგებელი საქართველოში ომის მიზეზით ჩამოსული უკრაინელების მხარდაჭერაზე. საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესში გამოიკვეთა, რომ ყველაზე მიშვნელოვანი ბაზისური მხარდაჭერა იყო საჭირო. კერძოდ, მედიკამენტები, ტანსაცმელი, ჰიგიენის ნივთები, კოვიდისგან თავის დასაცავი ნიღბები და სხვა. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ მობილიზება გაუწია ჰუმანიტარულ დახმარებას უკრაინელებისთვის, როგორც საქართველოში ისე უკრაინაში გასაგზავნად.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია საინიციატივო ჯგუფში გაწევრიანებული და სხვა მსურველი კოლეგა სოციალური მუშაკების ან მოხალისე მსურველების მარდაჭერით და აქტიურობით შეძლო თავი მოეყარა საჭირო მედიკამენტებისთვის, ტანსაც-



მლისთვის, ჰიგიენის საშუალებებისთვის, ბავშვისა და მოზარდის საკვებისთვის, ტკბილეულისთვის, სათამაშოებისთვის (მათ შორის განმავითარებელი სათამაშოები) უკრაინაში გასაგზავნად. შედეგად უკრაინაში, კერძოდ კიევში და ხარკოვში (სანამ ტვირთების გაგზავნა საქართველოდან საელჩოს დახმარებით შესაძლებელი იყო).

ამასთან, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ინიციატივით შეიქმნა **მომსახურებების რუკა,** რომლის მიზანიც იყო ქვეყანაში უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად არსებული მომსახურებების კოორდინირება და ერთად თავმოყრა და მისი გაზიარება ქსელში, რათა ყველა ორგანიზაციას და თავად უკრაინელებთან მომუშავეთ ჰქონოდათ თავმოყრილად ინფორმაცია.

ამასთვის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ დააორგანიზა შეხვედრა უკრაინელების მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ, სადაც ორგანიზაციები წარადგინეს მომსახურებები, რომელსაც სთავაზობდნენ უკრაინელ ხალხს. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა ჩვენი უკრაინელი კოლეგა ოლგა როგოვსკა მარიუპოლიდან, რომელმაც თავის მხრივ გაგვიზიარა საკუთარი გამოცდილება - ოლგა ცხოვრობდა მარიუპოლში და აპრილამდე მისი ქალაქი სრულად განადგურდა, დაინგრა მისი უნივერსიტეტი, სადაც სოციალურ მუშაობას ასწავლიდა და დაკარგა სახლიც. ოლგა დღემდე საქართველოში ცხოვრობს.

პარალელურად, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ახორციელებდა სოციალური მუშაკებისთვის საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რათა ხელი შეეწყო ცოდნის მობილიზებისთვის უკეთესი სოციალური მუშაობის მომსახურების მიწოდების მიზნით უკრაინელი ლტოლვილებისთვის. ამ მიზნით ჩატარდა ვებინარი, სემინარი და ტრენინგი.



საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ, 2 აპრილს ჩაატარა **ვებინარი "კრიზისი და ტრავმა - ადრეული (კრიზისული) ჩარევის საფუძვლები".** ვებინარს უძღვებოდა ბატონი ზურაბ ბებერაშვილი - ფსიქიატრი, ფსი-

ქოთერაპევტი, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრის (GCRT) კლინიკური ხელმძღვანელი, სამედიცინო დირექტორი.

12 აპრილს კი ჩატარდა **სემინარი "როგორ ვიმუშაოთ პირებთან რომლებსაც აქვთ ტრავმა: საქართველოს და უკრაინის გაკვეთილები"**, რომელიც გაიმართა ასოციაციის მიერ დაგეგმილი კონფერენციის ფარგლებში. სემინარის მომხსენებელი იყო ბატონი ჯეიმს დეკერი პროფესორი, კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნორთრიჯი, აშშ. /James T. Decker, Professor, California State University Northridge, USA..

13 აპრილს კი სოციალური მუშაკებისთვის ჩატარდა უნარების გაძლიერების ტრენინგი. ტრენინგი გამიზნული იყო იმ სპეციალისტებისთვის, ვინც სოციალური მუშაობის მომსახურებას გაუწევდა საქართველოში მყოფ ომით დაზარალებულ უკრაინელებს. **ტრენინგს „კრიზისი და ტრავმა ადრეული (კრიზისული) ჩარევის საფუძვლები"** უძღვებოდა ფსიქიატრი, ფსიქოთერაპევტი, კლინიკური ხელმძღვანელი, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრის - GCRT სამედიცინო დირექტორი ზურაბ ბებერაშვილი.

ტრენინგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- გასაჭირის ფაზები (Phases of Disaster, SAMHSA): ჰეროიკული (Heroic), მხარდაჭერის (Honeymoon), იმედგაცრუების (Disillusionment), აღდგენის (Recovery). უბედურების შემდგომი დისტრესის ფორმები და შესაბამისი ადრეული ჩარევები: პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება (Psychological First Aid), ფსიქოსოციალური მხარდაჭერა (Psychosocial Support).

- ტრავმა და მისი განვითარების ძირითადი ფაქტორები. სამსახოვანი ტვინი (Triune Brain). ტრავმის მოკლე ნეირობიოლოგია. ტრავმის ახლებური გააზრება (Rethinking Trauma). ტრავმის სპექტრი და ძირითადი სიმპტომები. ტრავმისგან აღდგენის ფაზები (Pierre Janet).

- ადრეული (კრიზისული) ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები (IASC Guidelines). პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების პრინციპები. ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მიზნები (Hobfoll).

- ადრეული (კრიზისული) ჩარევის ძირითადი ამოცანები: პირველი (1) ამოცანა: უსაფრთხოება (safety). უსაფრთხოების თაღი (Safety Arc). უსაფრთხოების განცდის აღდგენა. მულტიდისციპლინარული მიდგომა.

- მეორე (2) ამოცანა: ბუნებრივი აღდგენის (Natural Recovery) ხელშეწყობა. ბუნებრივი აღდგენის ფაზები - Shock, Reaction, Processing, Recovery. მესამე (3) ამოცანა: მედეგობის სტიმულირება. ინდივიდუალური და თემის მედეგობა (Individual & Com-

munity Resilience) და მათი სტიმულირების საშუალებები.

- ადრეული (კრიზისული) ჩარევის ბაზისური უნარები. ფსიქოგანათლება (Psychoeducation) მისი სარგებელი და ტექნიკა. სტრესთან გამკლავება (Coping). გამკლავების ეფექტური საშუალებები. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა (Psychological Support) და მისი კომპონენტები.

ჯამში ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ასოციაციის 15 წევრმა სოციალურმა მუშაკმა.

აღსანიშნავია, რომ ასოციაციის მიერ მომზადდა სტატია უკრაინის ომის საპასუხოდ სოციალურ მუშაკთა ასოციაციის როლზეც, რომელიც გამოქვეყნდა სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ასოციაციის პროფესიონალურ ჟურნალში "სოციალური დიალოგი".



Shorena Sadzaglishvili, MSW, PhD Ilia State University, Professor Georgian Association of Social Workers, Chairperson Tbilisi Georgia

Ketevan Gigineishvili, MSW Ilia State University, Invited Lecturer Georgian Association of Social Workers, Director Tbilisi, Georgia

Olga Rogovska, MSW
California State University, USA

James Decker, MSW, PhD
Azovi State Technical University Maripol, Ukraine

Georgian Association of Social Workers' Response to the Ukraine crisis

This article aims to highlight the role of the professional association (Georgian Association of Social Workers - GASW) in organizing humanitarian support for people affected by the Ukrainian War. Georgian social workers empowered their colleagues by initiating various social support activities including online platform for coordinating assistance, organizing conference meetings to develop social workers' skills in working with refugees. This article highlights the critical importance of social work profession and social workers who have a central role in practice and research with war affected populations.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია თანამშრომლობდა შესაბამის ორგანიზაციებთან/პროფესიონალებთან უკრაინელებისთვის ფსიქოსოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით.

სოციალური მუშაობის პროფესიის განუყოფელი ნაწილია სოციალური აქტივიზმი, სოლიდარობა და სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლა. შესაბამისად, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ყველა ღონისძიება ემსახურებოდა უკრაინელი ხალხის მხარდაჭერას ამ რთულ პროცესებში.

განხორციელებული აქტივობები

2022 წელი

წევრების ბაზის განახლება

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს წევრებთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა, წევრების გააქტიურება, მათი ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობის გაზრდა და ასოციაციის მხრიდან მათთვის საინტერესო ღონისძიებების შეთავაზება, ასევე, ასოციაციის წევრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციისთვის მნიშვნელოვანია წევრებთან აქტიური კომუნიკაცია, მათთვის სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და მოვლენების გაზიარება. ასოციაცია, როგორც პროფესიული ორგანიზაცია, მუდმივად მუშაობს მდგრად განვითარებაზე, მხარს უჭერს და წარმოადგენს სოციალური მუშაობის პროფესიას საქართველოში.

მიმდინარე წელს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ განხორციელდა წევრთა ბაზის განახლება, ასევე წევრებთან მუდმივად მიმდინარეობდა კომუნიკაცია მათ პროფესიულ საჭიროებებზე, რომელთა საპასუხოდაც ასოციაცია მუდმივად გეგმავს და ახორციელებს გარკვეულ ღონისძიებებს, როგორებიცაა: ტრენინგები, ვებინარები, შეხვედრები, თვითზრუნვის პლატფორმა, სფეროში მიმდინარე სიახლეების გაზიარება და ა.შ. აგრეთვე, მთელი წლის განმავლობაში წევრები ინფორმირებულები იყვნენ საერთაშორისო კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების შესახებ, რომლებში მონაწილეობაც მათთვის ხელმისაწვდომი იყო. მიმდინარე წლის განმავლობაშიც ასოციაცია აგრძელებს თავის წევრებთან აქტიურ კომუნიკაციას და გეგმავს არა ერთ აქტივობას. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ განსაკუთრებული ყურადღება 2022 წელს ახალგაზრდა სოციალურ მუშაკებს დაუთმო, ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

ციფრული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის **ციფრული ბიბლიოთეკაში**, რომელიც განახლდა 2022 წელს თავმოყრილია ყველა ის წიგნი/ბროშურა/დოკუმენტი/გამოცემა, რომლებიც ხელმისაწვდომია ონლაინ ფორმატით. ამასთან, ციფრული ბიბლიოთეკაში მოცემულია კატალოგი, სადაც მითითებულია იმ გამოცემების თუ წიგნების ჩამონათვალი, რომელიც ხელმისაწვდომი ონლაინ ფორმატში. ბიბლიოთეკის სარგებლობის მსურველებს შეუძლიათ კატალოგიდან აარჩიონ სასურველი წიგნი და მოიძიონ ბიბლიოთეკაში.

ციფრულ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების/ბროშურების/გამოცემების/დოკუმენტების ნაწილი ღიაა ყველა მსურველისთვის, ნაწილზე წვდომა კი მხოლოდ ასოციაციის წევრების პრივილეგიაა. ამ დოკუმენტებზე წვდომის მისაღებად წევრებს შეუძლიათ მიმართონ ასოციაციას შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - gaswmembers@gmail.com.

გარდა ელექტრონული მასალებისა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ოფისში ხელმისაწვდომია ლიტერატურა ბეჭდური სახითაც. აღნიშნული რესურსების სარგებლობით დაინტერესების შემთხვევაში, მსურველებს აქვთ შესაძლებლობა მიმართონ ასოციაციას ელექტრონული ფოსტაზე - **gaswmembers@gmail.com** ან მობრძანდნენ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ოფისში (მის: ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N44, მე-2 სართული). აგრეთვე, შესაძლებელია ბეჭდური ლიტერატურის დროებით სარგებლობისთვის გატანა.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ნებისმიერ დროს მზადაა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვისთვის ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით!

ვებინარები საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრებისთვის

GASW
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
GEORGIAN ASSOCIATION OF SOCIAL WORKERS

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ 2022 წელი გამოაცხადა უწყვეტი განათლების წლად, რომლის ფარგლებშიც წევრებისთვის გამართა სხვადსხვა თემატიკაზე ვებინარები, ტრენინგები და შეხვედრები, რომლებიც ეხებოდა პროფესიისთვის საჭირო და მნიშნელოვან საკითხებს.

ასოციაციის მიერ 2022 წლის განმავლობაში წევრებისთვის ჩატარდა საინფორმაციო ვებინარები, შეხვედრები და ტრენინგები შემდეგ თემებზე:

სოციალური მუშაობა ლგბტქ თემთან/სოციალური მუშაკების ცოდნისა და უნარების გაძლიერება ლგბტქ თემთან მუშაობისთვის/ლგბტქ თემი და სოციალური მუშაობა



2022 წლის 2 და 4 მარტს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრებისთვის ჩატარდა 2-დღიანი ტრენინგი - **„სოციალური მუშაობა ლგბტქ თემთან/ სოციალური მუშაკების ცოდნისა და უნარების გაძლიერება ლგბტქ თემთან მუშაობისთვის/ლგბტქ თემი და სოციალური მუშაობა“.** ტრენინგი მიზნად ისახავდა ლგბტქ თემთან მუშაობის შესახებ ბაზისური ინფორმაციის მიწოდებას იმ სოციალური მუშაკებისთვის, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან და, შესაძლოა, მომავალში იმუშაონ ლგბტქ თემის წარმომადგენლებთან ან მათი ოჯახის წევრებთან.

ტრენინგის პირველი დღე ეთმობოდა ტერმინთა განმარტებებს, მითებს ლგბტ თემის მიმართ, ამჟამინდელ მდგომარეობას საკანონმდებლო დონეზე, ჰომოფობიას და მის შედეგებს. ხოლო მეორე დღე სოციალური მუშაობის როლს ჰომოფობიის დაძლევაში, პირად გამოცდილებებს, არსებულ მომსახურებებს და მათ მიმოხილვას.

ტრენინგს უძღვებოდა ცაბუნია ვართაგავა, სოციალური მუშაკი მაგისტრის ხარისხით, ლგბტ აქტივისტი, თბილისი პრაიდის რეგიონული წარმომადგენელი ზუგდიდში, რომელსაც აქვს მრავალწლიანი გამოცდილება ლგბტქ თემთან მუშაობის და მათი უფლებების დაცვის. აგრეთვე, 2017 წელს წარდგენილი იყო კატო მიქელაძის სახელობის პრემიაზე ქალი უფლება დამცველებისთვის.



ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების

2022 წლის 17 მარტს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრებისთვის გაიმართა ვებინარი სახელწოდებით „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების“ შესახებ, რომელსაც გაუძღვა საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის (CSRDG) პროგრამის კოორდინატორი ზურა ტატანაშვილი.

აღნიშნული ორგანიზაცია ახორციელებს სამწლიან პროექტს “უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარება“, საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციასთან და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი “Young Peagogues’ Union”-თან ერთად. ვებინარის ფარგლებში ასოციაციის წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის და ხანდაზმულებისთვის უფლებებზე დაფუძნებული მომსახურებების მიწოდების მიდგომებს, კვლევას და საქართველოს უნიკალურ გამოცდილებად ამ მიმართულებით, რომელიც ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში დაგროვდა.

კრიზისი და ტრავმა - ადრეული (კრიზისული) ჩარევის საფუძვლები

2 აპრილს წევრებისთვის მოეწყო ვებინარი „კრიზისი და ტრავმა - ადრეული (კრიზისული) ჩარევის საფუძვლები“, რომელსაც უძღვებოდა ფსიქიატრი, ფსიქოთერაპევტი, კლინიკური ხელმძღვანელი, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრის - GCRT სამედიცინო დირექტორი ზურაბ ბებერაშვილი.

ვებინარი ჩატარდა ონლაინ, ZOOM-ის პლატფორმის გამოყენებით. შეხვედრაზე განხილული იქნა შემდეგი თემები:

- გასაჭირის ფაზები (Phases of Disaster, SAMHSA): ჰეროიკული (Heroic), მხარდაჭერის (Honeymoon), იმედგაცრუების (Disillusionment), აღდგენის (Recovery). უბედურების შემდგომი დისტრესის ფორმები და შესაბამისი ადრეული ჩარევები: პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება (Psychological First Aid), ფსიქოსოციალური მხარდაჭერა (Psychosocial Support).

- ტრავმა და მისი განვითარების ძირითადი ფაქტორები. სამსახოვანი ტვინი (Triune Brain). ტრავმის მოკლე ნეირობიოლოგია. ტრავმის ახლებური გააზრება (Rethinking Trauma). ტრავმის სპექტრი და ძირითადი სიმპტომები. ტრავმისგან აღდგენის ფაზები (Pierre Janet).
- ადრეული (კრიზისული) ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები (IASC Guidelines). პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების პრინციპები. ფსიქოსოციალური მხარ-დაჭერის მიზნები (Hobfoll).
- ადრეული (კრიზისული) ჩარევის ძირითადი ამოცანები: პირველი (1) ამოცანა: უსაფრთხოება (safety). უსაფრთხოების თაღი (Safety Arc). უსაფრთხოების განცდის აღდგენა. მულტიდისციპლინარული მიდგომა.

- მეორე (2) ამოცანა: ბუნებრივი აღდგენის (Natural Recovery) ხელშეწყობა. ბუნებრივი აღდგენის ფაზები - Shock, Reaction, Processing, Recovery. მესამე (3) ამოცანა: მედეგობის სტიმულირება. ინდივიდუალური და თემის მედეგობა (Individual & Community Resilience) და მათი სტიმულირების საშუალებები.

- ადრეული (კრიზისული) ჩარევის ბაზისური უნარები. ფსიქოგანათლება (Psychoedcation) მისი სარგებელი და ტექნიკა. სტრესთან გამკლავება (Coping). გამკლავების ეფექტური საშუალებები. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა (Psychological Support) და მისი კომპონენტები.

აღსანიშნავია, რომ ბატონმა ზურაბმა 13 აპრილს, უკრაინელ ლტოლვილებთან მომუშავე სოციალურ მუშაკებთან პირისპირ ფორმატში ჩაატარა ტრენინგი - „კრიზისი და ტრავმა ადრეული (კრიზისული) ჩარევის საფუძვლები“. სადაც ასოციაციის 15 წევრ სოციალურ მუშაკს მიეცა შესაძლებლობა მიეღოთ ცოდნა მოცემულ საკითხებზე.

საინფორმაციო შეხვედრა უკრაინელების მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ

მოგახსენებთ, რომ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია მთელი წლის განმავლობაში ახორციელებდა სხვადასხვა აქტივობას ორგანიზაციებისა და სპეციალისტებისთვის (სოციალური მუშაკები), რომლებიც მუშაობენ უკრაინელ ლტოლვილებთან. სწორედ ერთ-ერთი აქტივობა გახლდათ საინფორმაციო შეხვედრა უკრაინელების მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ, რომელიც გაიმართა 27 აპრილს.



საინფორმაციო შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ წარედგინათ ის მომსახურებები, რომლებსაც სთავაზობენ უკრაინელებს საქართველოში.

გარდა ამისა, შეხვედრას ესწრებოდა უკრაინელი კოლეგა სოციალური მუშაკი ოლგა როგოვსკა მარიუპოლიდან, რომელმაც გაგვიზიარა საკუთარ გამოცდილება, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და იქ არსებულ მდგომარეობაზე. ვებინარის მიზანი იყო კოორდინაცია გაეწია საქართველოში არსებული მომსახურებებისთვის, რომელთა მიზანიც უკრაინელ ლტოლვილთა დახმარება იყო. ამ მიზნით შეიქმნა მომსახურებების ბაზაც და გაზიარდა ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

მართლმსაჯულების სფეროში შეფასების სისტემა, რისკებისა და საჭიროებების შეფასება



25 მაისს, სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრებისთვის ბრიტანელმა სოციალურმა მუშაკმა რანდელ ბეროუსმა გამართა ლექცია/სემინარი "მართლმსაჯულების სფეროში შეფასების სისტემა, რისკებისა და საჭიროებების შეფასება". სემინარის მსვლელობისას განხილულ იქნა მართლმსაჯულების სფეროში არსებული შეფასების სისტემები ბრიტანეთისა და საქართველოს მაგალითზე.

აღსანიშნავია, რომ რანდელ ბაროუს დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოში პრობაციის და პენიტენციურ სფეროში რეფორმის განხორციელების პროცესში. აგრეთვე, ლექცია/სემინარს უძღვებოდა სალომე ნამიჭეიშვილი, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, სოციალური მუშაობის დოქტორი და სფეროს ექსპერტი.

თვითზრუნვის მექანიზმები სოციალური მუშაობის სტუდენტებისთვის

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის პრაქტიკანტმა სოციალურმა მუშაკმა სტუდენტებმა მარიამ ბურჯანაძემ, ანა ტალახაძემ, ქეთი ტატიშვილმა და თეო ზარავანდაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 30 მაისს გამართეს შეხვედრა - "თვითზრუნვის მექანიზმები სოციალური მუშაობის სტუდენტებისთვის" - რომელიც მიზნად ისახავდა, მომავალი პრაქტიკოსებისთვის თვითზრუნვის მნიშვნელობის გაზიარებასა და პირად გამოცდილებაზე მსჯელობას, სამომავლოდ პროფესიული განვითარების გზაზე თვითზრუნვისა და რეფლექსიის მნიშვნელობას. შეხვედრაზე სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ პროფესიული ასოციაციის წევრობის შესაძლებლობებს

და დაგეგმეს სამომავლო შეხვედრის სასურველი თემატიკაც. შეხვედრაში მონაწილება მიიღეს სოციალური მუშაობის სტუდენტებმა.

ფსიქიკური ჯანმრთელობა და წამალ დამოკიდებულება: ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების გავლენა ადამიანის ტვინის ქიმიურ აგებულებაზე, ორმაგი დიაგნოზების მკურნალობა ამერიკაში და აღნიშნული კუთხით არსებული გამოწვევები საქართველოში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრებს შესაძლებლობა ქონდათ დასწრებოდნენ ვებინარს "ფსიქიკური ჯანმრთელობა და წამალ დამოკიდებულება: ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების გავლენა ადამიანის ტვინის ქიმიურ აგებულებაზე, ორმაგი დიაგნოზების მკურნალობა ამერიკაში და აღნიშნული კუთხით არსებუ-



ლი გამოწვევები საქართველოში", რომელიც 27 ივნისს გამართა გიორგი მინასოვმა და კოლეგებს, წევრებს გაუზიარა ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული გამოცდილება. გიორგის აქვს მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით და ფლობს ექსპერტიზას. 2021-2022 წლებში ჰიუბერტ ჰამფრის პროგრამით სწავლობდა ვირჯინიის სახელმწიფო უნივერსიტეტში (Virginia Commonwealth University/ VCU) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე ადიქციის პოლიტიკისა და კვლევების კუთხით. VCU-ში სწავლის დასრულების შემდეგ გიორგიმ გაგრძელება პრაქტიკა ჰაუარდის უნივერსიტეტის ფსიქიატრიისა და ბიჰევიორული განყოფილების სტაციონარულ

და ამბულატორიულ განყოფილებებში კლინიკური სოციალური მუშაობის კუთხით. ამ-ჟამად სწავლობს ადიქციის პოლიტიკისა და პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამაზე ჯორჯ-თაუნის უნივერსიტეტში.

გამომდინარე იქიდან, რომ ვებინარმა გამოიწვია დიდი დაინტერესება და იყო მთელი რიგი შეკითხვები ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ადიქციაზე, გადაწყდა მეორე ვებინარ-ის ჩატარება, რომელიც უპასუხებდ ვებინარის მსვლელობისას არსებულ კითხვებს. აქედან გამომდინარე, 19 ოქტომბერს მომხსენებელმა, გიორგი მინასოვმა წევრებისთვ-ის ჩატარდა რიგით მეორე ვებინარი - „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ადიქციის პო-ლიტიკა: როგორ ფინანსდება ზემოაღნიშნული სერვისები“.

სოციალური დაცვის პრინციპები და ევროკავშირის პრაქტიკა

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და Expertise France-სა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, გამართა ლექციები სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის შესახებ, სახელწოდებით „სოციალური დაცვის პრინციპები და ევროკავშირის პრაქტიკა“. ლექციებს ესწრებოდნენ ასოციაციის წევრები და სტუდენტები.

შეხვედრაზე მოხსენებით წარსდგნენ:

- Hagen Hügelschäffer - გერმანული საპენსიო ასოციაციის AKA-ს მმართველი დირექ-ტორი, რომელიც წარმოადგენს გერმანიის ადგილობრივი და საეკლესიო სექტორის 3 მილიონზე მეტი აქტიური წევრისა და 1 მილიონი პენსიონერის ინტერესებს.
- Heikki Hiilamo - სოციალური პოლიტიკის პროფესორი ჰელსინკის უნივერსიტეტში (ფინეთი)
- Jana Vaněček - სოციალური პოლიტიკის დოქტორი, რომელმაც დაამთავრა მასარი-კის უნივერსიტეტი ბრნოში (ჩეხეთი).

ლექციაზე განხილული იყო შემდეგი თემები:

- » სოციალური პოლიტიკა და სოციალური დაცვა
- » სოციალური დაცვის პრინციპები
- » დაფინანსების პრინციპები და ევროკავშირის პრაქტიკა
- » ფინეთის და გერმანიის სოციალური დაცვის ძირითადი ელემენტები

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრებისთვის დაგეგმილი ექსკურსია

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ 2022 წლის ოქტომბერში წევრებისთვის დაგეგმა ერთ დღიანი ექსკურსია სამცხე-ჯავახეთში. წევრებთან აქტიური კომუნიკაციის ფარგლებში გაჩნდა იდეა ექსკურსიის მოწყობის, სადაც წევრებს საშუალება ექნებოდათ არაფორმალურ გარემოში დროის ერთად გატარების, ერთმანეთის უკეთ გაცნობის, განტვირთვის. წევრების ინტერესების გათვალისწინებით შეირჩა სამცხე-ჯავახეთი, სადაც იმყოფებოდა ასოციაციის 35 წევრზე მეტი.

ექსკურსიის მონაწილეები იმყოფებოდნენ სამცხის ტბებზე, ესტუმრნენ სოფელ გორელოვკას და მოინახულეს წალკის კანიონი. დღის ბოლოს კი მოეწყო „პიკნიკი“, სადაც ერთად სასიამოვნო გარემოში გაატარეს დრო.

ასოციაცია მიმდინარე წელს, თავისი წევრებისთვის კვლავ გეგმავს მსგავს არა ერთ ღონისძიებას.

სოციალური მუშაობის პროფესიის შესახებ ცნობიერების ამაღლება

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია დაარსების დღიდან ზრუნავს პროფესიის განვითარებასა და მის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე. სოციალური მუშაობის პროფესიის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით წლების განმავლობაში ბევრი ღონისძიება გაიმართა, ვიზუალური მასალა შეიქმნა, ამას გარდა, ჩატარდა ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები.

2022 წლიდან, კი ასოციაცია მუშაობს ვიზუალური მასალის შექმნაზეც, რომელიც საზოგადოებას გააცნობს სოციალური მუშაობის პროფესიას. ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია თითოეული მათგანის შესახებ.

ვიდეო რგოლი სოციალური მუშაობის შესახებ



შეიქმნა 2 ვიდეო რგოლი (პირველი ვიდეო | მეორე ვიდეო) სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებული მითებისა და რეალობის შესახებ. სოციალური მუშაობის შესახებ საქართველოსა და მსოფლიოში მრავალი მითია გავრცელებული, პროფესიაში არსებული რეალობა კი სულ სხვაგვარია. სწორედ ამის ჩვენებას ემსახურებოდა მითებისა და რეალობის შესახებ გადაღებული ვიდეო რგოლები.

ანიმაციური ვიდეოები სოციალური მუშაობის შესახებ

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ასევე შეიქმნა მოკლე ანიმაციები (პირველი ანიმაცია | მეორე ანიმაცია) სოციალური მუშაობის პროფესიის განმარტების შესახებ, რათა საზოგადოებისთვის ნათელი იყოს თუ რას გულისხმობს პროფესია „სოციალური მუშაობა“ და რა მიზანს ემსახურება იგი. აღსანიშნავია, რომ ანიმაცია,

როგორც სოციალური ვიდეო, ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად გადიოდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

საინფორმაციო ბროშურები სოციალური მუშაობის შესახებ (ბეჭდური და ონლაინ/ ელექტრონული მასალა)

დაიბეჭდა სოციალური მუშაობის შესახებ საინფორმაციო ბროშურები, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას სოციალური მუშაობის მიზნების, სამიზნე ჯგუფების, სამუშაო არეალისა და სოციალური მუშაობის სამუშაო სპეციფიკის შესახებ. აღნიშნული საინფორმაციო ბროშურების ონლაინ ვერსიების გავრცელება მოხდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრებისთვის, ხოლო უმოკლეს დროში გავრცელდება ბეჭდური სახითაც ყველა დაინტერესებულ პირთან.

საერთაშორისო აქცია-პერფორმანსი "INSIDE OUT"

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ასოციაციას შორის თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა [აქცია-პერფორმანსი სახელწოდებით "Inside Out"](), რომლის მიზანს წარმოადგენდა ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

სამომავლო ღონისძიებები

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს კიდევ ერთი ვიდეო რგოლის გადაღება სოციალური მუშაობის პროფესიის შესახებ სხვადასხვა უწყების სოციალური მუშაკის ჩართულობით. აღნიშნულ ვიდეო რგოლში სხვადასხვა უწყებაში დასაქმებული სოციალური მუშაკები საუბრობენ თავიანთი პროფესიის, ყოველდღიური საქმიანობის შესახებ, რომელიც ადამიანების მხარდაჭერას გულისხმობს სოციალური მუშაობის მომსახურების მიწოდებით. ვიდეო რგოლი უახლოეს მომავალში იქნება საჯარო.

ზემოხსენებული ღონისძიებები ხორციელდება საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ Expertise France-თან და ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობითა და ევროკავშირის მხარდაჭერით. პროექტს "სოციალური დაცვის გაძლიერება საქართველოში" ახორციელებს Expertise France-ი და ჩეხეთის განვითარების სააგენტო. პროექტის მიზანია საქართველოს მთავრობის და სახელმწიფო ორგანიზაციების მხარდაჭერა, რათა მოხდეს სოციალური მომსახურებების, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარება და სოციალური უფლებების გაფართოება, ასევე სოციალური მუშაობის პროფესიის პოპულარიზაცია და სოციალური მუშაობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა საზოგადოებაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს: http://gasw.org/

სტუდენტური პლატფორმა

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ 2022 წელი გამოაცხადა უწყვეტი განათლების წლად, რომლის ფარგლებშიც წევრებისათვის მართავდა სხვადასხვა ტრენინგს, ვორქშოპს, კონფერენციას, შეხვედრას, გასვლით ღონისძიებას და ა.შ. გარდა ამისა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან, სადაც მიმდინარეობს სოციალური მუშაობის სწავლება სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

2022 წელს ჩამოყალიბდა სტუდენტური პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც ნოემბერში გაიმართა პირველი შეხვედრა. პირველი შეხვედრის მიზანი იყო კონცეფციის გაცნობა და განხილვა, აგრეთვე, საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება და სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვა. სტუდენტების ინიციატივით დაიგეგმა შეხვედრების მოწყობა

სოციალური მუშაობის პოპულარიზაციის მიზნით სკოლებში, უსაფრთხოების თემასთან დაკავშირებული შეხვედრის ჩატარება სტუდენტებთან, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში სოციალური მუშაობის როლის, ამოცანების და მუშაობის სპეციფიკის გაცნობა სტუდენტებისთვის და ა.შ.

სტუდენტური პლატფორმის მიზანი

სტუდენტური პლატფორმის მიზანია შექმნას სივრცე, რომელიც მხარს დაუჭერს სოციალური მუშაობის სტუდენტებს პროფესიულ განვითარებაში და სწავლებიდან დასაქმების ეტაპზე გადასვლაში. სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა ტრენინგების, ვორქშოპების, შეხვედრების ორგანიზების და განხორციელების, რათა უნივერსიტეტის ბაზაზე მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში და გაუზიარონ სხვადასხვა საფეხურზე მყოფ სოციალური მუშაობის სტუდენტებს. სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა, ინფორმაცია გაცვალონ და ჩაერთონ საერთაშორისო სტუდენტურ პროექტებში.

სტუდენტური პლატფორმის ამოცანები

- ყოველთვიურად დაიგეგმოს აქტივობები სტუდენტების მონაწილეობით, როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის, ასევე დოქტორანტურის სტუდენტების ორგანიზებით. სტუდენტური პლატფორმის ფარგლებში ჩატარდება სხვადასხვა თემატიკის შეხვედრა, ტრენინგი, ვორქშოპი, ასევე საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით მოეწყობა შეხვედრები, პერფორმანსები, აქტივობები, რომლის მიზანი იქნება საზოგადოების ცნობიერების გაზრდა. დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობას მიიღებენ სოციალური მუშაობის ის სტუდენტები, რომლებიც ირიცხებიან სოციალური მუშაობის პროგრამაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.
- სტუდენტური პლატფორმის ფარგლებში სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა გააზიარონ სხვადასხვა ტიპის გამოცდილება სოციალური მუშაობის პროფესიაში. მოეწყობა დისკუსიები, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე პროფესიაში მიმდინარე სიახლეების განხილვები.

- მოეწყობა სტუდენტების და დამ-

- საქმებლების შეხვედრა, სადაც განხილული იქნება დამსაქმებლების და სტუდენტების მოლოდინები დასაქმების ეტაპზე. ასევე, დამსაქმებლების მხრიდან მოხდება დასაქმების ადგილის, შესასრულებელი სამუშაოს გაცნობა და მათი მხრიდან გაზიარდება ინფორმაცია, თუ რა კომპეტენციებს უნდა აკმაყოფილებდნენ სოციალური მუშაკები სწავლებიდან დასაქმების ეტაპზე გადასვლისას.

- პლატფორმის საშუალებით სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა გაუზიარონ თავიანთი მოსაზრებები, რეკომენდაციები უნივერსიტეტის წამომადგენლებს საგანმანათლებლო კურიკულუმებთან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია მოხდეს სტუდენტების თვალით დანახული საჭიროებების გამოკვეთა და ანალიზი, თუ თავად რას თვლიან ხელშემწყობ ფაქტორად პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაში.

- სტუდენტები მოამზადებენ და თარგმნიან სხვადასხვა საერთაშორისო სტატიებს, სიახლეებს, კვლევით ნაშრომებს, რომლებიც განთავსდება ასოციაციის ვებგვერდზე ეგიდით "სოციალურ მუშაკთა სტუდენტური ჟურნალი". პლატფორმის ფარგლებში მოეწყობა განხილვა და სტუდენტებისთვის გაცნობა.

- სტუდენტთა საერთაშორისო ქსელის ხელშეწყობა. სტუდენტები სოციალური ქსელის საშუალებით დაუკავშირდებიან ევროპის და ამერიკის სოციალური მუშაობის სკოლის სტუდენტებს, დაგეგმავენ ერთობლივ ღონისძიებებს, მათ შორის სტუდენტურ კონფერენციებს, მოიწვევენ პროფესიაში მოღვაწე მკვლევრებს და აქტივისტებს.

სამომავლოდ, სტუდენტური პლატფორმის კონცეფციის განხილვა/გაცნობა მოხდება ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. ხოლო 2023 წლისთვის სტუდენტური პლატფორმა გადადის აქტიურ რეჟიმში, რომლის ფარგლებშიც მოეწყობა არა ერთი შეხვედრა, დაიგეგმება აქტივობები და ა.შ.

სტუდენტურ პლატფორმას უხელმძღვანელებენ სოციალური მუშაობის როგორც ბაკალავრიატის ბოლო საფეხურის, ასევე მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები, რომელთაც კოორდინირებას გაუწევს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელი.

თვითზრუნვის პლატფორმა

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციისთვის მნიშვნელოვანია წევრებთან აქტიური კომუნიკაცია და მათთვის სფეროში მიმდინარე სიახლეების და მოვლენების გაზიარება. აღნიშნულის ფარგლებში GASW 2022 წლის განმავლობაშიც აქტიურად უზიარებდა წევრებს მიმდინარე სიახლეებს სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით.

2021 წლიდან ასოციაციამ წევრებისთვის შეიმუშავა თვითზრუნვის პლატფორმა. თვითზრუნვის პლატფორმა სოციალური მუშაკების პროფესიული გადაწვისგან დასაცავად და თვითზრუნვის წასახალისებლად შეიქმნა. ინიციატივის ფარგლებში შეხვედრების მიზანი იყო წევრების შეკრება და მათთვის სასაუბრო სივრცის დათმობა, ერთმანეთის წუხილებისა თუ წარმატებების, მიმდინარე სიახლეებისა და ფიქრების გაცნობა-გაზიარება, კრიტიკული პრაქტიკის, სამუშაო მეთოდებისა თუ ტექნიკების განხილვა, ასევე, გადაწვის პრევენცია, განტვირთვა და დროის სასიამოვნოდ გატარება კოლეგებთან ერთად.

თვითზრუნვის პლატფორმის შეხვედრები იმართებოდა არაფორმალურ გარემოში, 3 თვეში ერთხელ. ორგანიზაციის წევრების შეხვედრაზე დასწრება ხდებოდა წინასწარი რეგისტრაციის გავლით. შეხვედრის ნაწილი გაიმართა ონლაინ, ნაწილი კი - პირისპირ რეჟიმში. აღსანიშნავია, რომ ყოველი მომდევნო შეხვედრა იგეგმებოდა წინა შეხვედრაზე შეთანხმებული საკითხების მიხედვით და მონაწილეთა სურვილების გათვალისწინებით.

თვითზრუნვის პლატფორმის 2022 წლის ბოლო შეხვედრის მიმდინარეობისას მონაწილეებმა გამოკვეთეს სარეკომენდაციო საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ 2023 წლის თვითზრუნვის პლატფორმის შეხვედრებისას. აღნიშნული საკითხებია: ემოციური შრომა, წარმატებული შემთხვევების განხილვა, გადაწვის პრევენცია და ერთმანეთის პრაქტიკის გაზიარება.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრების სურვილებსა და მოსაზრებებზე დაყრდნობით, თვითზრუნვის პლატფორმის შეხვედრები აქტიურად გაგრძელდება 2023 წელსაც და არაფორმალურ გარემოში შეხვედრები საშუალებას მისცემს ორგანიზა-

ციის წევრებს არსებულ სტრესულ გარემოში თავი აარიდონ გადაწვას და შეინარჩუნონ პროფესიული ურთიერთობები კოლეგებთან.

ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევები და სტატიები



2022 წელს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ აქტიურად იმუშავა კვლევების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ჩავატარეთ **"კვლევა სოციალური მუშაობის სამუშაო ძალის შესახებ"**, რომელიც სხვადასხვა სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობას იკვლევდა საქართველოში.

გარდა ამისა, მომზადდა კვლევა სოციალური მუშაკების ემოციური შრომის შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდა სამეცნიერო სტატია **"სოციალურ მომსახურებებში გაუმჯობესებული პროფესიული პრაქტიკა ემოციური შრომის სტრატეგიებით"**, რომელიც გამოქვეყნდა მაღალ იმფაქტ-ფაქტორიან **ჟურნალ Frontiers**-ში. ასევე, ასოციაციის მიერ მომზადდა სტატია უკრაინის ომის საპასუხოდ სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ, რომელიც გამოქვეყნდა სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ასოციაციის პროფესიონალურ ჟურნალში **"სოციალური დიალოგი"**.



Check for updates

OPEN ACCESS

EDITED BY
Nigun Uluasadmir,
Gumushane University, Türkiye

REVIEWED BY
Santiago Gascon,
University of Zaragoza, Spain
Siaw Leng Chan,
Universiti Putra Malaysia Bintulu Sarawak Campus, Malaysia

*CORRESPONDENCE
Shorena Sadzaglishvili
shorena_sadzaglishvili@iliauni.edu.ge

SPECIALTY SECTION
This article was submitted to Organizational Psychology, a section of the journal Frontiers in Psychology

RECEIVED 15 January 2023
ACCEPTED 13 March 2023
PUBLISHED 17 April 2023

CITATION
Gvelesiani T, Sadzaglishvili S, Gigineishvili K, Lekishvili K and Namitcheishvili S (2023) Improved professional practices in social services through Emotional Labor strategies. *Front. Psychol.* 14:1145175. doi: 10.3389/fpsyg.2023.1145175

Improved professional practices in social services through Emotional Labor strategies

Tea Gvelesiani[1], Shorena Sadzaglishvili[2]*, Ketevan Gigineishvili[2,3], Ketevan Lekishvili[2,3] and Salome Namitcheishvili[4]

[1]GIPA – Georgian Institute of Public Affairs, Tbilisi, Georgia, [2]School of Arts and Sciences, Ilia State University, Tbilisi, Georgia, [3]Georgian Association of Social Workers, Tbilisi, Georgia, [4]The Department of Sociology and Social Work, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

The present study provides an analysis of Emotional Labor (EL) and its consequences for professional social work practitioners in Georgia. This mixed-methods study comprised two stages. First, a qualitative study was conducted to determine the organizational characteristics defined by social work practitioners (N = 70). Second, a quantitative study was undertaken among the members of the Georgian Association of Social Workers (N = 165) to determine the direct and indirect influences of organizational characteristics on EL and work outcomes, namely, personal accomplishment and burnout. The results are pragmatic and applicable for organizations providing social services to gain positive results at the individual and organizational levels.

KEYWORDS

დიდი მადლობა მხარდაჭერისა და აქტიური თანამშრომლობისთვის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დონორებს, პარტნიორებსა და წევრებს!

GASW

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

GEORGIAN ASSOCIATION OF SOCIAL WORKERS